

პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქცია

დოკუმენტის სექციები

1. ძირითადი დებულებები	2
2. ტერმინთა განმარტება	4
3. ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტების განსაზღვრება.....	5
4. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღწერა	10
4.1 გამოყენებული გეომეტრიული ობიექტების ტიპები და კოორდინატთა სისტემები 10	
4.1.1 გეომეტრიული ობიექტის ტიპი	10
4.1.2 კოორდინატთა სისტემები.....	11
4.1.3 ინფორმაციის წარდგენის ფაილის ფორმატები	11
4.2 არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღწერა	12
4.2.1 ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის შესახებ წარმოსადგენი ინფორმაცია	12
4.2.3 ელემენტის შესახებ საინფორმაციო ველებში ინფორმაციის წარდგენის წესი და შესაბამისი დასაშვები მნიშვნელობები	16
4.3 საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების აღწერა	30
4.3.1 საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ წარსადგენი ინფორმაცია	30
4.3.2 საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების აღწერის ველებში ინფორმაციის წარდგენის წესი და დასაშვები მნიშვნელობები	34
5. პლატფორმის ფუნქციონალური კომპონენტები და მათი გამოყენება.....	39
5.1 პლატფორმაზე რეგისტრაცია.....	39
5.2 რეგისტრაციის შემდგომ პლატფორმით სარგებლობის დაწყება.....	43
5.3 პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციასთან წვდომა	44
5.3.1 წვდომა ინფორმაციასთან ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებსა და საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ.	44
5.3.2 წვდომა მშენებლობის ნებართვებს/თანხმობების მოპოვების წესებთან და პროცედურებთან, აგრეთვე შესაბამისი განაცხადის გაკეთების მექანიზმთან.....	45
5.4 პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდება	47
6. დანართები	51

1. ძირითადი დებულებები

„პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქცია“ დეტალურად აღწერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 27 ივნისის №8 დადგენილებით დამტკიცებული „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის“ მიერ განსაზღვრული პლატფორმით სარგებლობის, ფუნქციების, მათ შორის ინფორმაციის მიწოდების, განთავსების და მასთან წვდომის დეტალურ წესს, რომლებიც ითვალისწინებს:

- პლატფორმაზე რეგისტრაციას;
- პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებასა და მასთან წვდომას;

ინფორმაცია დოკუმენტში ორგანიზებულია სექციებად და შესაბამის დანართებად.

ერთიანი საინფორმაციო პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდების და განთავსების მიზნებიდან გამომდინარე „პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქცია“ ორი ძირითადი ნაწილისგან შენდება :

ინსტრუქციის პირველი ნაწილი (სექციები 3 - 4) განსაზღვრავს, თუ როგორი სახით უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია პლატფორმას ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებსა და დაგეგმილი საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ, მათ შორის:

- ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებს;
- გამოყენებული გეომეტრიული ობიექტების ტიპებს;
- მდებარეობის აღწერისთვის დასაშვებ კოორდინატთა სისტემებს;
- ინფორმაციის წარდგენისთვის დასაშვები ფაილის ფორმატებს;
- მისაწოდებელი ინფორმაციის სტრუქტურას, ფორმატს და დასაშვებ მნიშვნელობებს.

ინსტრუქციის მეორე ნაწილი (სექცია 5) აღწერს:

- პლატფორმაზე რეგისტრაციის წესს;
- პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდების და რედაქტირების ფუნქციონალურ მხარეს;
- პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაციასთან წვდომის ფუნქციონალურ მხარეს.

ინსტრუქცია ასევე აღწერს პლატფორმაზე განთავსებულ ნებართვების/თანხმობების მოპოვების წესებთან და პროცედურებთან წვდომის და ნებართვის მოპოვების მიზნით განაცხადის წარდგენის საკითხებს.

ინფრასტრუქტურის ოპერატორების მიერ ფიზიკური ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ პლატფორმისთვის მიწოდებული ინფორმაცია, დასაშვები ფორმატისა და მნიშვნელობების გადამოწმების შემდეგ, თავსდება პლატფორმაზე უცვლელი სახით.

წარმოდგენილი ინფორმაცია ცალსახად უნდა განსაზღვრავდეს ინფრასტრუქტურის ოპერატორის ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებს და საზოგადოებრივი დანიშნულების დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს და მოიცავდეს „პლატფორმის ადმინისტრირების წესების“ მე-4 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებში მითითებული მონაცემებს, წინამდებარე „პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქციაში“ განსაზღვრული წესების მიხედვით.

ერთიან საინფორმაციო პლატფორმასთან წვდომა ხორციელდება ინტერნეტ მისამართზე: sip.comcom.ge

2. ტერმინთა განმარტება

„პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქციაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტება:

ა) პლატფორმა - „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა;

ბ) პლატფორმის ადმინისტრირების წესი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 27 ივნისის №8 დადგენილებით დამტკიცებული „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესი“;

გ) ინსტრუქცია - წინამდებარე „პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქცია“;

დ) კომისია - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

ე) ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონი - „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ვ) რეგისტრაცია - პლატფორმაზე წვდომის მიზნით, პირის მიერ წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმების საფუძველზე, ამ პირის შესახებ ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის შენახვა);

ზ) რეგისტრირებული პირი - პირი, რომელმაც გაიარა პლატფორმაზე რეგისტრაცია;

თ) მომხმარებელი - ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს პლატფორმით;

ი) რეგისტრირებული მომხმარებელი - მომხმარებელი, რომელსაც აქვს გავლილი რეგისტრაცია პლატფორმაზე და წარმოადგენს პლატფორმაზე რეგისტრირებულ პირს;

კ) რეგისტრირებული რეჟიმი - მომხმარებლის მიერ პლატფორმით სარგებლობის რეჟიმი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ რეგისტრირებული მომხმარებლისთვის და რომლით სარგებლობისთვის მომხმარებელმა უნდა გაიაროს პლატფორმაზე აუთენტიკაცია, რეგისტრაციის დროს მითითებული შესაბამისი ელექტრონული ფოსტის მისამართის და პაროლის მითითებით;

ინსტრუქციაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესში“ განსაზღვრული მნიშვნელობა.

3. ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტების განსაზღვრება

პლატფორმისთვის მიწოდებული უნდა იყოს ინფორმაცია ფიზიკური ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტების შესახებ:

- ა) მილი;
- ბ) ანძა;
- გ) არხი;
- დ) სათვალთვალო ჭა;
- ე) საკანალიზაციო ლიუკი;
- ვ) კაბინა;
- ზ) შენობა;
- თ) შენობის შესასვლელი, მათ შორის თანალოკაციის ადგილი;
- ი) ანტენის მოწყობილობა;
- კ) კომპი;
- ლ) ბოძი.

პლატფორმის მიზნებისთვის, მოცემულ ელემენტებს აქვს შემდეგი განსაზღვრება:

ა) **მილი** - დრუს მქონე წაგრძელებული ცილინდრის ფორმის საგანი (ხშირ შემთხვევაში HDPE-ს მასალით დამზადებული), რომელიც განთავსდება როგორც მიწის ზემოთ, ასევე მიწის ქვემოთ - თხრილში (კიუვეტში) ან მიწისქვეშა არხში. მილი, რომელიც მოთავსებულია უშუალოდ თხრილში, არ იყენებს საკანალიზაციო ლიუკებს. მილის დანიშნულებაა კაბელების, მულტიტიუბების/მულტიმილების ან მინი/მიკრო მილების მასში გატარება ან სითხეების და გაზის ტრანსპორტირება. მიწისქვეშე განთავსებულ მილზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ თხრილის ზედაპირის გახსნისას - თუ დამონტაჟებულია თხრილში, ან საკანალიზაციო ლიუკის საშუალებით - თუ დამონტაჟებულია არხში.

შენიშვნა: არხისგან განსხვავებით მილი არ სრულდება სათვალთვალო ჭაში, საკანალიზაციო ლიუკში ან კაბინაში, თუ ის არ არის განთავსებული არხში.

პლატფორმაზე ინფორმაციის აღრიცხვის მიზნებისთვის ორ განსხვავებულ სათვალთვალო ჭას ან/და საკანალიზაციო ლიუკს შორის განლაგებული ერთი ან რამდენიმე პარალელურად გაყვანილი მილის მონაკვეთი ჩაითვლება ერთ ელემენტად.

ბ) ანძა - ვერტიკალური ვიწრო სტრუქტურა, რომლის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება დიაგონალური დამჭერი კაბელები.

ანძა შეიძლება დადგმული იყოს მიწაზე, შენობაზე ან კოშკზე.

ანძა შეიძლება გამოყენებული იყოს მასზე რადიო-ელექტრული აპარატურის ანტენის ან „ანტენის მოწყობილობის“ დასამაგრებლად.

(ფართო გამოყენებაში არსებული ტერმინი ანძა ხშირად, მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, განსაზღვრული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის - კოშკის აღსანიშნავად გამოიყენება - მაგალითი „თბილისის ანძა“)

გ) არხი - ცილინდრული ან სხვა ფორმის წაგრძელებული ღრუ სხეული ელექტრული, სატელეკომუნიკაციო კაბელების ან სხვა სადენების გასატარებლად, ან სითხეების ან თხევადი მასის გატარებისთვის, მათ შორის წყალარინების მიზნებისთვის. არხი შეიძლება განთავსებული იყოს როგორც მიწის ზემოთ, ასევე მიწის ქვეშ. მილისგან განსხვავებით არხი უშუალოდ ბოლოვდება სხვა ელემენტით ან ინფრასტრუქტურის განსხვავებული ობიექტით: მიწისქვეშ განთავსებული არხები ბოლოვდება საკანალიზაციო ლიუკში. მიწის ზემოთ არხები, როგორც წესი, ბოლოვდება კაბინებში ან კაბელების/სადენების გამანაწილებელ ყუთში. არხები შეიძლება გამოიყენებოდეს მილების, მულტიტიუბების/მულტიმილების ან მინი/მიკრო მილების გასატარებლად. არხი შეიძლება დაყოფილი იყოს სექციებად, საკანალიზაციო ლიუკების საშუალებით. მიწისქვეშ განთავსებისას რამდენიმე არხი შეიძლება ერთიანდებოდეს ერთ კონსტრუქციაში.

შენიშვნა: პლატფორმაზე ინფორმაციის აღრიცხვის მიზნებისთვის ორ განსხვავებულ სათვალთვალო ჭას ან/და საკანალიზაციო ლიუკს შორის განლაგებული ერთი ან რამდენიმე პარალელურად გაყვანილი არხის მონაკვეთი ჩაითვლება ერთ ელემენტად.

დ) სათვალთვალო ჭა - ჭის ტიპის კონსტრუქცია, რომელშიც მცირე ზომის გამო შეუძლებელია ადამიანის ჩასვლა.

სათვალთვალო ჭა გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების მქონე მიწისქვეშა არხებთან წვდომისთვის, მათი ინსპექტირების, გაწმენდის და მასში

განთავსებული ობიექტების, მათ შორის მიწების და კაბელების, მომსახურების, შეკეთების ან გამოცვლის მიზნით.

სათვალთვალო ჭა წარმოადგენს არხების სისტემის ნაწილს.

სათვალთვალო ჭის აღსანიშნავად ასევე ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სათვალთვალო კოლოფი“.

ე) საკანალიზაციო ლიუკი - ჭის ტიპის კონსტრუქცია, იმდენად დიდი ზომის, რომ მასში შესაძლებელია ადამიანის ჩასვლა.

საკანალიზაციო ლიუკი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების მქონე მიწისქვეშა არხებთან წვდომისთვის, მათი ინსპექტირების, გაწმენდის და მასში განთავსებული ობიექტების, მათ შორის მიწების და კაბელების, მომსახურების, შეკეთების ან გამოცვლის მიზნით.

საკანალიზაციო ლიუკი წარმოადგენს არხების სისტემის ნაწილს.

საკანალიზაციო ლიუკის აღსანიშნავად ასევე ფართოდ გამოიყენება ტერმინი „საკანალიზაციო ჭა“.

ვ) კაბინა - გარე ან შიდა გამოყენების კარადა, კონტეინერი ან სხვა ტიპის სათავსო, რომელიც ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა სახის, მათ შორის, ელექტრონული დანადგარების, როგორც მონტაჟისთვის, ასევე გარემოს ზეგავლენისგან დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

ზ) შენობა - შენობა, მათ შორის, შენობის ნაწილი, სადაც შესაძლებელია ელექტრონული სატელეკომუნიკაციო ქსელების განთავსება. ქსელის ელემენტები შეიძლება განთავსდეს როგორც შენობის შიგნით, ასევე მის გარეთ - კედლებზე ან სახურავზე.

თ) შენობებში შესასვლელი, მათ შორის, თანალოკაციის ადგილი - ადგილი, სადაც შენობის გარეთ მდებარე არხები ან კაბელები უკავშირდება შენობის შიგნით განლაგებულ არხებს ან კაბელებს და რომელიც მოიცავს შენობის კედელს ან ძირზე/საძირკველზე განლაგებულ წერტილს, სადაც გარე არხი და კაბელი შემოდის შენობაში. ასევე შენობის შიგნით მდებარე ფართს ან სივრცეს, სადაც შესაძლებელია ქსელის ელემენტების განთავსება.

ი) ანტენის მოწყობილობა - კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება რადიო ანტენების დასამაგრებლად და რომელიც არის უფრო მცირე ზომის ვიდრე კოშკი ან ანძა.

ანტენის მოწყობილობა შეიძლება განთავსდეს შენობაზე ანძაზე ან კოშკზე.

კ) კოშკი - მდგრადი ნაგებობა, რომლის სიმაღლე ბევრად დიდია მის ჰორიზონტალურ ზომებზე (დიამეტრზე, ფუძის გვერდზე და სხვა). კოშკი აღმართულია განცალკევებით, ან წარმოადგენს შენობის ნაწილს.

კოშკი შეიძლება იყოს გამოყენებული მასზე ანძის აღმართისთვის ან რადიო-ელექტრული აპარატურის ანტენის მოწყობილობის დასამაგრებლად. ასევე მაღალი ძაბვის ელექტრული ხაზების გასატარებლად.

კოშკი ანძისგან განსხვავებით არ საჭიროებს დიაგონალურ დამჭერ კაბელებს, რომლებიც მის მდგრადობას უზრუნველყოფს

ლ) ბოძი - ვერტიკალური ძელი ან მცირე სვეტი, რომელიც სხვადასხვა ობიექტების, მათ შორის სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის ელექტრული და საკომუნიკაციო კაბელების ან აპარატურის საყრდენად ან განსათავსებლად გამოიყენება.

4. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღწერა

4.1 გამოყენებული გეომეტრიული ობიექტების ტიპები და კოორდინატთა სისტემები

4.1.1 გეომეტრიული ობიექტის ტიპი

ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტი და სამშენებლო სამუშაო პლატფორმაში წარმოდგენილია სხვადასხვა პარამეტრით, მათ შორის კოორდინატებით, რომლებიც განსაზღვრავს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას.

ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ტიპის გეომეტრიული ობიექტი რომლებიცაა: „წერტილი“, „ხაზი“, „პოლიგონი“

- წერტილის მდებარეობა განისაზღვრება კოორდინატების წყვილით
- ხაზს გააჩნია სიგრძე, მაგრამ არ გააჩნია ფართობი. ის განისაზღვრება კოორდინატების წყვილების სიმრავლით და შეიძლება იყოს როგორც წრფივი, ასევე რკალის ფორმის.
- პოლიგონი აღიწერება კოორდინატების წყვილების სიმრავლით და ის შემოსაზღვრავს არეს, რომელსაც გააჩნია ფართობი.

სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილია გეომეტრიული ტიპით - „პოლიგონი“.

ცხრილი N1: გამოყენებული გეომეტრიული ტიპები:

ფიზიკური ინფრასტრუქტურის	ელემენტის დასახელება გეომეტრიის ტიპი
მილი	ხაზი
ანძა	წერტილი
არხი	ხაზი
სათვალთვალო ჭა	წერტილი
საკანალიზაციო ლიუკი	წერტილი
კაბინა	წერტილი
შენობა	პოლიგონი
შენობებში შესასვლელი, მათ შორის თანალოკაციის ადგილი	წერტილი
ანტენის მოწყობილობა	წერტილი
კომპი	წერტილი
ბოძი	წერტილი
სამშენებლო სამუშაოები	პოლიგონი

4.1.2 კოორდინატა სისტემები

პლატფორმაზე ინფორმაციის მიწოდებისას ელემენტების და სამშენებლო სამუშაოების განსაზღვრელი გეომეტრიული ტიპების კოორდინატების მითითებისას გამოყენებული უნდა იყოს ცხრილ N2 - ში მითითებული კოორდინატა სისტემები საერთაშორისო EPSG WKID კოდების გათვალისწინებით.

ცხრილი N2: დასაშვები კოორდინატა სისტემები და ერთეულები

EPSG: WKID	განსაზღვრება	მდებარეობის ერთეული	აღწერის
32637	WGS 84 / UTM Zone 37N	მეტრი	
32638	WGS 84 / UTM Zone 38N	მეტრი	
3857	WGS 1984 Web Mercator (EPSG 900913)	მეტრი	
4326	WGS 1984		გრძედი, განედი გამოხატული გრადუსის ათობითი სისტემით;

4.1.3 ინფორმაციის წარდგენის ფაილის ფორმატები

პლატფორმაზე წარმატებული მიწოდებისათვის, ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი განსაზღვრული ფორმატის ფაილის სახით.

ფაილის დასაშვები ფორმატებია:

1) ESRI Shapefile

ასატვირთი ფაილები მინიმუმ უნდა შეიცავდეს შემდეგი გაფართოების ფაილებს:

*.SHP, *.SHX, *.DBF

2) OGC GeoPackage (GPKG)

3) KML (KMZ)

ფაილში ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემულ ინსტრუქციაში განსაზღვრული ველების შესაბამისად.

თითოეულ ასატვირთ ფაილში მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი ტიპის ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტები (მაგ: ბოძი, ანძა, არხი, მილი და ა.შ) და შესაბამისად მხოლოდ ერთი ტიპის გეომეტრიული ობიექტები (წერტილი, ხაზი, პოლიგონი)

4.2 არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღწერა

4.2.1 ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის შესახებ

წარმოსადგენი ინფორმაცია

პირი პლატფორმას აწვდის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ფიზიკური ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობისა და შესაბამისი მარშრუტის შესახებ;

ბ) ფიზიკური ინფრასტრუქტურის ტიპისა და ამჟამინდელი დანიშნულების შესახებ;

გ) ფიზიკური ინფრასტრუქტურის სივრცითი პარამეტრების შესახებ;

დ) ფიზიკურ ინფრასტრუქტურის გაზიარების დამაბრკოლებელი გარემოებების (რომელიც ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის წინასწარ არის ცნობილი) და ტექნიკური ინსტრუქციების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

ე) ინფრასტრუქტურის ოპერატორის ქსელში ფიზიკური ინფრასტრუქტურის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ.

მოცემულ ინფორმაციას პირი აწვდის ცხრილი N3-ში განსაზღვრული მახასიათებლების შესაბამისი ველების მიხედვით, მოცემულ ინსტრუქციაში განსაზღვრული ფორმატის და წესის დაცვით.

ინფრასტრუქტურის ობიექტის ელემენტი ცალსახად განისაზღვრება:

- 1) ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორით;
- 2) ელემენტის იდენტიფიკატორით.

შესავსები ველები იყოფა სავალდებულო და ნებაყოფლობით შესავსებად ველებად. ინფორმაცია ნებაყოფლობით შესავსებ ველებში შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი.

ველის სახელი, ფორმატი და დასაშვები მნიშვნელობები მითითებულია დანართში N1 მოყვანილ ცხრილში.

მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი Unicode UTF-8 კოდირების გამოყენებით.

იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური ინფრასტრუქტურის ოპერატორს „პლატფორმის ადმინისტრირების წესის“ ამოქმედების დროისთვის არ გააჩნდა გარკვეული ველების შევსებისთვის საკმარისი ინფორმაცია, ფიზიკური ინფრასტრუქტურის სივრცითი პარამეტრების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული ველი N27-ის საშუალებით.

ცხრილი N3 ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის შესახებ წარმოსადგენი საინფორმაციო ველები

ველის N	მახასიათებელი	ველის დამატებითი განმარტება	შევსების ვალდებულება
1	ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი	ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი, რომელიც ფლობს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტს	ავტომატურად ივსება ატვირთვისას
2	გეომეტრიის ტიპი	წერტილი, ხაზი, პოლიგონი	(იხილე ველის შევსების წესები)
3	ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტი	ანძა, ბოძი, სათვალთვალო ჭა და ა.შ. მისათითებელია შესაბამისი კოდი.	(იხილე ველის შევსების წესები)
4	კოორდინატები	კოორდინატთა სისტემის შესაბამისად	(იხილე ველის შევსების წესები)
5	გამოყენებული კოორდინატთა სისტემა		(იხილე ველის შევსების წესები)
6	რეგიონი	რეგიონის შესაბამისი იდენტიფიკატორი (ხელმისაწვდომია პლატფორმაზე განთავსებულის სიიდან)	სავალდებულო
7	მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის იდენტიფიკატორი (ხელმისაწვდომია პლატფორმაზე განთავსებულის სიიდან)	სავალდებულო
8	დასახლებული პუნქტი	დასახლებული პუნქტის შესაბამისი იდენტიფიკატორი (ხელმისაწვდომია პლატფორმაზე განთავსებულის სიიდან)	(იხილე ველის შევსების წესები)
9	უბნის დასახელება	ქალაქის უბანი	არ არის სავალდებულო
10	ქუჩის დასახელება	შენობისთვის და შენობის შესასვლელისთვის	იმ შემთხვევაში თუ შენობას ან ობიექტს

			აქვს მინიჭებული მისამართი
11	შენობის ნომერი	შენობისთვის და შენობის შესასვლელისთვის	იმ შემთხვევაში თუ შენობას ან ობიექტს აქვს მინიჭებული მისამართი
12	ელემენტის იდენტიფიკატორი	იდენტიფიკატორი რომლითაც მოცემული ელემენტი აღრიცხული აქვს „ინფრასტრუქტურის ოპერატორს“	სავალდებულო
13	დაკავშირებული ელემენტის იდენტიფიკატორი	იმ ელემენტის იდენტიფიკატორი რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული ელემენტი (მაგ: სათვალთვალო ჭის შემთხვევაში არხის იდენტიფიკატორი, ანძის შემთხვევაში შენობის იდენტიფიკატორი რომელზეც დგას ანძა	სავალდებულოა იმ ელემენტისთვის რომლის მდებარეობა ემთხვევა სხვა ელემენტს: მაგ: ლიუკისთვის და ჭისთვის თუ განლაგებულია არხზე. ანძაზე ან ანტენის მოწყობილობისთვის თუ განლაგებულია, კოშკზე ან ანძაზე
14	ძირითადი დანიშნულება	ძირითადი დანიშნულების კოდი (ტელეკომუნიკაცია, ბუნებრივი გაზი, ა.შ) (ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელობა)	სავალდებულო
15	ინსტალაციის ტიპი	ანძის, კოშკის, ანტენის სამაგრის ინსტალაციის ტიპი (შენობაზე, ანძაზე, კოშკზე) - შესაბამისი კოდი	(იხილე ველის შევსების წესები)
16	გაყვანილობის ტიპი	მიწაში თუ მიწის ზემოთ არის განთავსებული - შესაბამისი კოდით	(იხილე ველის შევსების წესები)
17	გამოყენების შესაძლებლობა	გამოყენების შესაძლებლობის	არ არის სავალდებულო

		შესაბამის კოდი (ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელობა)	
18	საოპერაციო სტატუსი	სტატუები. მისათითებელია შესაბამისი კოდი: პროექტირება, ხელმისაწვდომია, არ არის ხელმისაწვდომი, გაუქმების პროცესში, სისტემიდან წაშლილი	სავალდებულო
19	დატვირთულობის დონე	მისათითებელია შესაბამისი %	არ არის სავალდებულო
20	თანმხლები დოკუმენტის იდენტიფიკატორი	შესაბამისი დოკუმენტის იდენტიფიკატორი, რომელიც ატვირთულია სისტემაში	არ არის სავალდებულო
21	დიამეტრი	მეტრებში, სამეთვალყურეო ჭის ან საკანალიზაციო ლიუკის შემთხვევაში - ივსებ როცა ელემენტი წრიულია	სავალდებულო იმ შემთხვევაში როცა მისათითებელია დიამეტრი (ჭა, ლიუკი, არხი, მილი) (იხილე ველის შევსების წესები)
22	სიმაღლე	მეტრებში	სავალდებულო (ჭა, ლიუკი, კაბინა, ანძა, ბოძი, კოშკი, ანტენის მოწყობილობა, შენობა), არხი (იხილე ველის შევსების წესები)
23	სიგრძე	მეტრებში, სამეთვალყურეო ჭის ან საკანალიზაციო ლიუკის შემთხვევაში - ივსებ როცა ელემენტი მართკუთხაა	სავალდებულო იმ შემთხვევაში როცა დიამეტრი ვერ იქნება მითითებული (ჭა, ლიუკი). ასევე კარადა, მილი, არხი (იხილე ველის შევსების წესები)

24	სიგანე	მეტრებში, სამეთვალყურეო ჭის ან საკანალიზაციო ლიუკის შემთხვევაში - ივსებ როცა ელემენტი მართკუთხაა	სავალდებულო იმ შემთხვევაში როცა დიამეტრი ვერ იქნება მითითებული (ჭა, ლიუკი), კარადა, არხი (იხილე ველის შევსების წესები)
25	ელემენტის დანიშნულება	ინფორმაცია ელემენტის გამოყენების შესახებ	(იხილე ველის შევსების წესები)
26	ელემენტის მახასიათებლები	ელემენტის დამატებითი მახასიათებლების აღწერილობა	(იხილე ველის შევსების წესები)
27	ელემენტის მდებარეობა	ელემენტის მდებარეობის დამატებითი აღწერილობა	არ არის სავალდებულო
28	ელემენტის გამოყენების შეზღუდვები	აღწერილია ელემენტის გამოყენების შეზღუდვები	(იხილე ველის შევსების წესები)
29	სამშენებლო სამუშაოების კოდი	კოდი რომლითაც ინფრასტრუქტურის ოპერატორი თავის დოკუმენტაციაში აღრიცხავს სამშენებლო სამუშაოებს, რომელშიც გათვალისწინებულია მოცემული ელემენტის შექმნა ან მოდიფიკაცია	სავალდებულო სამშენებლო სამუშაოებში გათვალისწინებული არსებული ან საპროექტო ელემენტისთვის

4.2.3 ელემენტის შესახებ საინფორმაციო ველებში ინფორმაციის წარდგენის წესი და შესაბამისი დასაშვები მნიშვნელობები

ველი N1 ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი

ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის მფლობელი ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი

მოცემული ველი ავტომატურად ივსება „რეგისტრირებული მომხმარებლის“ მიერ ინფორმაციის წარდგენის დროს.

ველი N2 გეომეტრიის ტიპი

მოცემული ველი ავტომატურად ივსება „რეგისტრირებული მომხმარებლის“ მიერ, ინფორმაციის „ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის სახეობის“ მითითების დროს, „ელემენტის შესაბამისი გეომეტრიის ცხრილის“ შესაბამისად

ველი N3 ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის სახეობა

ელემენტის სახეობის შესაბამისი კოდები მისათითებელია ცხრილ N4-ში.

ცხრილი N4 ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტების სახეობა და კოდები

ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტი დასახელება	კოდი
მილი	PIP
ანძა	MST
არხი	DUC
სათვალთვალო ჭა	INS
საკანალიზაციო ლიუკი	MHL
კაბინა	CAB
შენობა	BLD
შენობებში შესასვლელი, მათ შორის, თანალოკაციის ადგილი	ENT
ანტენის მოწყობილობა	ANT
კოშკი	TOW
ბოძი	POL

ინფორმაციის მიწოდება არის სავალდებულო

SHP, GGPK, KML ფორმატის ფაილების ატვირთვისას არ არის საჭირო ცალკე გამოყოფილ ველებში მითითება, რადგანაც ელემენტის ყოველი სახეობისთვის ცალკე ფაილი გამოიყენება

ველი N4: კოორდინატები

კოორდინატები მისათითებელია გამოყენებული კოორდინატთა სისტემის შესაბამისად

ა) EPSG WIK 4326 – WGS 1984 – ის შემთხვევაში ჩრდილოეთის განედი და აღმოსავლეთის გრძედი გრადუსების ათობითი სისტემით - (xx.xxxxx, yy.yyyyy)

ბ) WGS 84 / UTM Zone 37N და WGS 84 / UTM Zone 38N - მეტრი

გ) WGS 1984 Web Mercator შემთხვევაში - მეტრი

კოორდინატები მისათითებელია იმ სიზუსტით, რომლითაც ინახება „ინფრასტრუქტურის ოპერატორის“ მონაცემთა ბაზაში, მაგრამ არაუმეტეს 10 მეტრის ცდომილებით. მონაცემების გეოგრაფიულ კოორდინატთა სისტემის შევსებისას, სიზუსტე გრადუსებში უნდა იყოს არაუმეტეს 10 მეტრის ცდომილების ექვივალენტი.

ელემენტის აღწერისას, რომელსაც შეესაბამება გეომეტრიული ობიექტი „წერტილი“, უნდა იყოს მითითებული კოორდინატები, რომლებიც შეესაბამება ობიექტის გეომეტრიულ ცენტრს ზედხედში

არხის და მილის აღწერისას რომელსაც შეესაბამება გეომეტრიული ობიექტი „ხაზი“, უნდა იყოს მითითებული ხაზის კოორდინატები, რომლებიც ემთხვევა არხის ან მილის ღერძს ზედხედში.

შენობის აღწერისას, რომელსაც შეესაბამება გეომეტრიული ობიექტი „პოლიგონი“, მითითებული უნდა იყოს შენობის კონტურის კოორდინატები ზედხედში

ინფორმაცია არის სავალდებულო. SHP, GGPK ფორმატი ფაილების ატვირთვისას, არ არის საჭირო ცალკე გამოყოფილ ველებში მითითება.

ველი N5 გამოყენებული კოორდინატთა სისტემა

ასატვირთ ფაილში გამოყენებული უნდა იყოს დოკუმენტის 4.1 სექციის ცხრილ N2 ში მითითებული ერთ ერთი კოორდინატთა სისტემა.

მოცემული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა.

SHP, GGPK ფორმატი ფაილების ატვირთვისას საჭირო არ არის ცალკე გამოყოფილ ველებში მითითება.

ველები N 6, 7, 8

ტერიტორიული ერთეულის - რეგიონის, მუნიციპალიტეტის, დასახლებული პუნქტის იდენტიფიკატორი. შესაბამისი იდენტიფიკატორის სია (კლასიფიკატორი) მითითებულია პლატფორმაზე.

მონაცემების შეყვანა უნდა მოხდეს პორტალზე წარმოდგენილი იდენტიფიკატორების მიხედვით.

თუ ელემენტი განლაგებულია ერთდროულად რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულში, რაც შესაძლებელია ხაზის გეომეტრიის მქონე ელემენტის შემთხვევაში, მისათითებელია ერთ-ერთი ტერიტორიული ერთეული.

N6 და N 7 ველების შევსება სავალდებულოა.

ველი N8 შესავსებად სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტი არის „შენობა“ ან „შენობის შესასვლელი“.

ტერიტორიული ერთეულის საზღვრებად განისაზღვრება „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ maps.gov.ge ონლაინ რუკაზე განსაზღვრული საზღვრები.

ველი N9 უბნის დასახელება

იგულისხმება დასახლებული პუნქტის უბანი.

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N10 ქუჩის დასახელება

ივსება შენობისთვის ან შენობის შესასვლელისთვის.

სავალდებულოა შესავსებად იმ შემთხვევაში, თუ შენობას ან შენობის შესასვლელს მინიჭებული აქვს მისამართი „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ მიერ, მათ შორის თუ ხელმისაწვდომია maps.gov.ge ონლაინ რუკაზე.

ველი N11 შენობის ნომერი

ივსება შენობისთვის ან შენობის შესასვლელისთვის.

სავალდებულოა შესავსებად იმ შემთხვევაში, თუ შენობას ან შენობის შესასვლელს მინიჭებული აქვს მისამართი „საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოს“ მიერ, მათ შორის თუ ხელმისაწვდომია maps.gov.ge ონლაინ რუკაზე.

ველი N12 ელემენტის იდენტიფიკატორი

უნიკალური იდენტიფიკატორი, რომლითაც „ინფრასტრუქტურის ოპერატორს“ აღრიცხული აქვს მოცემული ელემენტი თავის აღრიცხვის ელექტრონული სისტემაში ან დოკუმენტაციაში.

ველის შევსება სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში თუ „ინფრასტრუქტურის ოპერატორს“ არ აქვს მინიჭებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტისთვის უნიკალური იდენტიფიკატორი, მაშინ მან ის უნდა შეიმუშაოს.

ველი N13 დაკავშირებული ელემენტის იდენტიფიკატორი

იმ ელემენტის იდენტიფიკატორი, რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული ელემენტი:

1. სათვალთვალო ჭის შემთხვევაში - არხის იდენტიფიკატორი, რომელზეც განლაგებულია ეს ჭა (რამდენიმე არხის შემთხვევაში, ერთ ერთი არხის იდენტიფიკატორი);
2. ლიუკის შემთხვევაში - არხის იდენტიფიკატორი. რომელზეც განლაგებულია მოცემული ლიუკი (რამდენიმე არხის შემთხვევაში, ერთ ერთი არხის იდენტიფიკატორი);
3. მილის შემთხვევაში - არხის იდენტიფიკატორი, რომელშიც გადის მოცემული მილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
4. ანტენის მოწყობილობის ან ანძის შემთხვევაში - ანძის, კოშკის ან შენობის, იდენტიფიკატორი, რომელზეც განლაგებულია ანტენის სამაგრი ან ანძა;
5. შენობებში შესასვლელი, მათ შორის, თანალოკაციის ადგილის შემთხვევაში - შენობა რომელშიც არის განლაგებული შესაბამისი შესასვლელი ან თანალოკაციის ადგილი.

ველის შევსება სავალდებულოა მხოლოდ სათვალთვალო ჭის, ლიუკის, მილის, ანტენის მოწყობილობის, ანძის, შენობებში შესასვლელის, მათ შორის თანალოკაციის ადგილის შემთხვევაში, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით.

ველი N14 ძირითადი დანიშნულება

მითითებული უნდა იყოს დანიშნულება, რომლისთვისაც პირველ რიგში შეიქმნა ფიზიკური ინფრასტრუქტურის, რომლის ნაწილიცაა ელემენტი

ცხრილი N5: ფიზიკური ინფრასტრუქტურის დანიშნულება

დანიშნულების სახეობა	კოდი
ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი	COM
ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ან განაწილება	GAS
ელექტროენერჯის წარმოება გადაცემა ან განაწილება	ELE
გარე განათების მომსახურება	LIT
თბომომარაგება	HEA
წყალმომარაგება, წყალარინება, სანიაღვრო და სადრენაჟო სისტემების მართვა და ოპერირება	WAT
სატრანსპორტო მომსახურება, მათ შორის სარკინიგზო, საგზაო, სანავსადგურო და სააეროპორტო მომსახურებები;	TRA

დანიშნულების სახეობები მითითებულია ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

შესაძლებელია ველში რამდენიმე მნიშვნელობის შეყვანა, რომელიც გამოყოფილი უნდა იყოს „მძიმის“ ,, , “ სიმბოლოთი.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N15 ინსტალაციის ტიპი

განსაზღვრავს თუ სად ხდება კომპის, ანძის, ანტენის მოწყობილობის ინსტალაცია ცხრილი N6-ის მიხედვით.

ცხრილი N6: ინსტალაციის ტიპი

ინსტალაციის ტიპი	კოდი
ინსტალაცია მიწაზე (ანძის ან კომპის)	01
ინსტალაცია შენობაზე (ანძის ან ანტენის მოწყობილობის)	02
ინსტალაცია კომპზე (ანძის ან ანტენის მოწყობილობის)	03
ინსტალაცია ანძაზე (ანტენის მოწყობილობის)	04

მოცემული პუნქტის მითითება საჭიროა მხოლოდ კომპის, ანძის, ანტენის მოწყობილობის აღწერისას.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N16 გაყვანილობის ტიპი

მიუთითებს თუ სად და როგორ არის გაყვანილი არხი ან/და მილი ცხრილი N7-ის მიხედვით

ცხრილი N7: გაყვანილობის ტიპი

გაყვანილობის ტიპი	კოდი
მიწაში/მიწის ზედაპირის ქვემოთ	01
შეკიდული მიწის ზომით (ხიდი, შენობა ან სხვა)	02
წყალში	03

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N17 გამოყენების შესაძლებლობა

უნდა მოხდეს მითითება, თუ რა მიზნით არის შესაძლებელი ელემენტის გამოყენება ცხრილი N8-ის შესაბამისად:

ცხრილი N8: გამოყენების სახე

გამოყენების სახე	კოდი
პასიური საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განთავსება	01
აქტიური საკომუნიკაციო აპარატურის განთავსება	02
პასიური საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის (კაბელების) შეერთება	03
პასიური საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დასრულება (ტერმინაცია)	04

პასიურ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში იგულისხმება სატელეკომუნიკაციო კაბელები და მისი კომუტაციისთვის საჭირო ელემენტები, ასევე სატელეკომუნიკაციო კაბელების გაყვანისთვის განკუთვნილი მილები.

აქტიურ საკომუნიკაციო აპარატურაში იგულისხმება ქსელის აპარატურა, რომელსაც მუშაობისთვის ესაჭიროება ელექტრული დენის მიწოდება, ასევე თანმხლები უწყვეტი დენის წყარო.

ველში შეიძლება შეყვანილი იყოს ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელობა, გამოყოფილი „მძიმის“ ,, „ სიმბოლოთი.

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N18 ელემენტის საოპერაციო სტატუსი

ველის საოპერაციო სტატუსი მითითებული უნდა იყოს ცხრილი N9 ის შესაბამისად.

ცხრილი N9: საოპერაციო სტატუსი

საოპერაციო სტატუსი	კოდი
პროექტირება	01
ხელმისაწვდომია	02
არ არის ხელმისაწვდომი	03
გაუქმების პროცესში	04
სისტემიდან წაშლილი	05

- 1) პროექტირება - ივსება როცა მიმდინარეობს ელემენტის პროექტირება;
- 2) ხელმისაწვდომია - შესაძლებელია ელემენტის გამოყენება ინფრასტრუქტურის გაზიარების მიზნით;
- 3) არ არის ხელმისაწვდომი - არ არის შესაძლებელი ელემენტის გამოყენება ინფრასტრუქტურის გაზიარების მიზნით;
- 4) გაუქმების პროცესში - ელემენტი არის გაუქმების პროცესში და არ არის შესაძლებელი ელემენტის გამოყენება ინფრასტრუქტურის გაზიარების მიზნით;
- 5) სისტემიდან წაშლილი - ელემენტი არ/ადარ არსებობს, წაშლილია ფიზიკური ინფრასტრუქტურის ოპერატორის ელემენტების აღრიცხვის სისტემაში, და შესაბამისად ინფორმაცია მოცემულ ელემენტზე უნდა იყოს წაშლილი ერთიანი საინფორმაციო პლატფორმიდან.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N19 დატვირთულობის დონე

მიუთითებს თუ რა ოდენობით არის ელემენტი დატვირთული, გამოსახული პროცენტში.

ივსება ელემენტის მფლობელის შეფასების საფუძველზე.

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N20 თანმხლები დოკუმენტის იდენტიფიკატორი

პლატფორმაზე ატვირთული იმ დოკუმენტის (ფაილის) იდენტიფიკატორი (დასახელება ან პლატფორმის მიერ მინიჭებული კოდი), რომელშიც მოყვანილია ელემენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, ელემენტზე ინფრასტრუქტურის განთავსების პროცედურის აღწერილობა, ელემენტის გამოყენების შემზღუდავი პირობები ან სხვა დამატებითი ინფორმაცია მოცემული ელემენტის შესახებ.

ველის შევსება არ არის სავალდებულო, თუ არ არის აუცილებელი დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის წარმოდგენა.

ველი N21 დიამეტრი

ივსება საკანალიზაციო ლიუკის ან სამეთვალყურეო ჭის შემთხვევაში, როცა ეს ელემენტები არის წრიული ფორმის - დიამეტრი მიწის ზედაპირთან.

მილის შემთხვევაში - მისი შიდა დიამეტრი.

ერთი არხის შემთხვევაში - მისი შიდა დიამეტრი. წრიული ფორმის არმქონე არხის ან პარალელურად გაყვანილი რამდენიმე მილის ან არხის შემთხვევაში - ისეთი ერთი მილის ან არხის შიდა დიამეტრი, რომლის კვეთის ფართობი იქნებოდა ტოლი მოცემული პარალელურად გაყვანილი რამდენიმე მილის ან არხის შიდა დიამეტრის შესაბამისი კვეთის ჯამური ფართობისა.

მაგ: 4 არხი - 0.1 მ, 0.1 მ, 0.15 მ, 0.2 მ შიდა დიამეტრით.

$$\text{კვეთის ფართობი} = \pi \left(\left(\frac{0.1}{2} \right)^2 + \left(\frac{0.1}{2} \right)^2 + \left(\frac{0.15}{2} \right)^2 + \left(\frac{0.2}{2} \right)^2 \right) =$$

$$= \pi \times 0.020625 - \text{არხების კვეთის ჯამური ფართობი}$$

$$\text{კვეთის იგივე ფართობის მქონე ერთი არხი დიამეტრი} = \sqrt{0.020625} \times 2 = 0.1436 \times 2 = 0.2872 \text{ მ}$$

მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი 5% სიზუსტით.

გამოიხატება მეტრებში.

ველის შევსებაა სავალდებულოა.

ველი N22 სიმაღლე

1) საკანალიზაციო ლიუკის ან სათვალთვალო ჭის შემთხვევაში:

ელემენტის შიდა ვერტიკალური სიღრმე ფსკერამდე.

2) არხის შემთხვევაში:

ა) მიწის ქვეშ განლაგებული არხის შემთხვევაში, მისი გარე ზედა კიდის განლაგების მინიმალური სიღრმე მიწის ზედაპირიდან.

ბ) მიწის ზემოთ განლაგების შემთხვევაში, მისი გარე ქვედა კიდის განლაგების მინიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან.

3) ანტენის მოწყობილობის, ანძის, ბოძის, კოშკის, შენობის შემთხვევაში:

სიმაღლე ზედაპირიდან, რომელზეც მოცემული ელემენტი არის დამაგრებული

4) კაბინის შემთხვევაში:

კაბინის შიდა სიმაღლე

5) შენობის შემთხვევაში

შენობის სახურავის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან, დამატებითი კონსტრუქციის (ანძის) გათვალისწინების გარეშე.

გამოიხატება მეტრებში.

მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი 5 % სიზუსტით.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N23 სიგრძე

საკანალიზაციო ლიუკის ან სათვალთვალო ჭის შემთხვევაში - ერთ-ერთი ჰორიზონტალური ზომა, ერთი მიმართულების არხის შემთხვევაში, მისი მიმართულების გასწვრივ.

არხის ან მილის სიგრძე;

კარადის შიდა სიგრძე;

გამოიხატება მეტრებში.

მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი 5 % სიზუსტით.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N24 სიგანე

საკანალიზაციო ლიუკის ან სათვალთვალო ჭის შემთხვევაში - ერთ-ერთი ჰორიზონტალური ზომა, ერთი მიმართულების არხის შემთხვევაში, მისი მიმართულების ჯვარედინად.

კარადის შიდა სიგანე;

არხის სიგანე თუ ის არ არის წრიული.

გამოიხატება მეტრებში.

მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი 5 % სიზუსტით.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N25 ელემენტის დანიშნულება

ინფორმაცია ელემენტის დანიშნულების შესახებ. მოცემულ ველში მოყვანილია ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება მოცემული ელემენტის გამოყენება და მისი მიზანია მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ელემენტის გამოყენებით დაინტერესებულ პირს, რომ შეაფასოს ელემენტის გამოყენების შესაძლებლობა.

ელემენტზე ელექტრული კვების სადენების განლაგებისას ან ელემენტთან კვების ძაბვის მიწოდებისას, უნდა იყოს მითითებული სადენების ძაბვის მაქსიმალური მნიშვნელობა ვოლტებში (მაგ: 48, 220, 380, 3000, 10000, 35000, 110000)

სანიაღვრე წყლების და სამეურნეო-ფეკალური წყლები წყალარანიების შესაბამისად აღინიშნება კოდებით

- სანიაღვრე: ATM
- სამეურნეო-ფეკალური: SEW

ამჟამად გამოიყენება პასიური ან აქტიური სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განლაგებისთვის.

მისათითებელია კოდები ველი N18 ში მოყვანილი ცხრილი N8 ის და განმარტებების შესაბამისად.

ველში შეიძლება შეყვანილი იყოს ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელობა, გამოყოფილი „მძიმის“ ,, ,“ სიმბოლოთი.

(მაგალითი: ბოძისთვის რომელზეც მაქსიმალური ძაბვაა 10 კვ და გაყვანილია ინტერნეტის კაბელი და ასევე განლაგებულია მობილური საბაზო სადგური ველში გაკეთებდა ჩანაწერი „10000, 01, 02“, სადაც 10000 მიუთითებს ძაბვას ვოლტებში, კოდის „01“- პასიური სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას და „02“ აქტიურ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას).

სხვა შემთხვევაში ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N26 ელემენტის მახასიათებლები

ელემენტის დამატებითი მახასიათებლების აღწერილობა, იმის გარდა, რაც არის სხვა ველებში შესავსებად მოთხოვნილი, რაც დაეხმარება ელემენტის გამოყენებით დაინტერესებულ პირს, რომ შეაფასოს ელემენტის გამოყენების შესაძლებლობა. მახასიათებლები შეიძლება იყოს დამატებითი სივრცითი პარამეტრები, სამაგრების ტიპი, რაოდენობა, ელემენტზე განლაგება და ა.შ.

მოცემული ველის შევსება სავალდებულოა, თუ „პლატფორმის ადმინისტრირების წესის“ გარდამავალი დებულებების შესაბამისად (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი) მისი ამოქმედების დორისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორი არ ფლობს ინფორმაციას, რომელიც იძლევა ველების N22, N23, N24, N25 შევსების შესაძლებლობას და ამავე დროს გააჩნია გარკვეული ინფორმაცია ელემენტის სივრცითი პარამეტრების შესახებ.

ასეთ შემთხვევაში მოცემულ ველში უნდა მოხდეს ელემენტის შესახებ ისეთი ინფორმაციის წარდგენა, როგორცაა: ელემენტის კონსტრუქციის ტიპი, მწარმოებლის მიერ მინიჭებული მოდელი, მოდელის იდენტიფიკატორი (მაგ: part number), მწარმოებლის სახელი ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა დადგენილი იყოს ზემოთხსენებულ ველებით აღწერილი სივრცითი მახასიათებლები.

არხის შემთხვევაში: უნდა იყოს მითითებული პარალელურად გაყვანილი არხების რაოდენობა.

სატელეკომუნიკაციო სათვალთვალო ჭის შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული კოდები:

ა) „მცირე“ - მცირე ტიპის სათვალთვალო ჭისთვის (კოლოფისთვის);

ბ) „დიდი“- დიდი ზომის ტიპის სათვალთვალო ჭისთვის (კოლოფისთვის).

სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო ლიუკის ჭის შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული კოდები:

ა) „მცირე“ - მცირე ტიპის ჭისთვის;

ბ) „საშუალო“- საშუალო ტიპის ჭისთვის;

გ) „დიდი“- დიდი ტიპის ჭისთვის;

დ) „სასადგურო“- სასადგურო ტიპის ჭისთვის.

სატელეკომუნიკაციო არხის, სათვალთვალო ჭის (კოლოფის) და საკანალიზაციო ლიუკის (ჭის) შემთხვევაში მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს კომისიის სტატისტიკურ ფორმა N 8.5 ის მიხედვით წარმოსადგენ მონაცემებს („ფორმა 8.5 ტექნიკური) :: საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების აქტივები” მონაცემებს, აგრეთვე ერთიანი ციფრული რუკის შექმნის მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 30 აპრილის N4 დადგენილებით განსაზღვრული ფორმა 1.1 და ფორმა 2.4 ების მიხედვით წარმოსადგენ მონაცემებს

კაბინების შემთხვევაში:

სატელეკომუნიკაციო კარადის მითითებისას 2020 წლის 30 აპრილის N4 დადგენილებით განსაზღვრული ფორმა 2.2 ის შესაბამისად:

ა) „პატარა“ - პატარა ტიპის კარადის შემთხვევაში;

ბ) „საშუალო“ - საშუალო ტიპის კარადის შემთხვევაში;

გ) „დიდი“ - დიდი ტიპის კარადის შემთხვევაში.

ან სხვა შესაბამისი ტიპის

სხვა შემთხვევაში ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N27 ელემენტის მდებარეობა

ელემენტის მდებარეობის დამატებითი აღწერილობა. (მაგალითად შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქონების საკადასტრო კოდი)

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N28 ელემენტის გამოყენების შეზღუდვები

ელემენტის გამოყენების შეზღუდვების ველში უნდა აღიწეროს მოცემული ელემენტის გამოყენების დამაბრკოლებელი პირობები.

ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის ცნობილია, გამოყენების დამაბრკოლებელი პირობების არსებობის შესახებ დეტალური ინფორმაცია დამაბრკოლებელი პირობების შესახებ შეიძლება იყოს წარმოდგენილი ველი N21 ში მითითებულ თანმხლებ დოკუმენტში.

ველი N29 სამშენებლო სამუშაოს კოდი

კოდი რომლითაც ინფრასტრუქტურის ოპერატორი თავის დოკუმენტაციაში აღრიცხავს სამშენებლო სამუშაოებს, რომელშიც გათვალისწინებულია მოცემული ელემენტის შექმნა ან მოდიფიკაცია.

ველს შევსება სავალდებულოა სამშენებლო სამუშაოებში გათვალისწინებული არსებული ან საპროექტო ელემენტისთვის.

4.3 საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების აღწერა

4.3.1 საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ წარსადგენი ინფორმაცია

ინფრასტრუქტურის ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების განზრახვის შესახებ, რომლებზედაც შესაძლებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განთავსების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა ან გაფართოება.

მოცემული ვალდებულება ვრცელდება „ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოებზე.

საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების კოორდინაციის განხორციელების მიზნით პირი ვალდებულია პლატფორმას მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სამშენებლო სამუშაოების ადგილმდებარეობისა და ტიპის შესახებ;
- ბ) აღნიშნული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ქსელის ელემენტების შესახებ;
- გ) სამშენებლო სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღისა და მათი ხანგრძლივობის შესახებ;
- დ) საკონტაქტო პირის შესახებ;
- ე) შესაბამისი სამუშაოების საწარმოებლად უფლებამოსილი ორგანოსთვის პროექტის წარდგენის ვადის შესახებ.

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოს შესახებ ინფორმაცია პლატფორმას უნდა მიეწოდოს ცხრილი N10-ში მითითებული მახასიათებლების შესაბამისი ველების შევსების გზით, ამ დოკუმენტში განსაზღვრული ფორმატის და წესის დაცვით.

ინფრასტრუქტურის ოპერატორმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ქსელის როგორც დაგეგმილი, ასევე არსებული ელემენტების შესახებ მოცემული დოკუმენტის 4.2 სექციაში ცხრილი N3 აღწერილი ველების შესაბამისად.

ველის სახელი, ფორმატი და ზუსტი მნიშვნელობა მითითებულია დანართში N2 მოყვანილ ცხრილში.

მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი Unicode UTF-8 კოდირების გამოყენებით.

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ ერთიანი საინფორმაციო პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს შესაბამისი სამუშაოების საწარმოებლად უფლებამოსილი ორგანოსთვის პროექტის წარდგენამდე სულ მცირე 2 (ორი) თვით ადრე.

ცხრილი N10: საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ წარმოსადგენი საინფორმაციო ველები

ველის N	მახასიათებელი	დამატებითი განმარტება	შევსების ვალდებულება
1	ინფრასტრუქტურის ოპერატორი იდენტიფიკატორი	ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი რომელიც გეგმავს სამშენებლოს სამუშაოებს	ატვირთვისას ავტომატურად ივსება
2	გეომეტრიის ტიპი	პოლიგონი	(იხილე ველის შევსების წესები)
3	სამშენებლო სამუშაოების კოდი	კოდი რომლითაც ინფრასტრუქტურის ოპერატორი თავის დოკუმენტაციაში აღრიცხავს მოცემულ სამშენებლო სამუშაოებს	სავალდებულო
4	სამშენებლო სამუშაოს ადგილმდებარეობის კოორდინატები	კოორდინატთა სისტემის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ადგილმდებარეობა	(იხილე ველის შევსების წესები)
5	გამოყენებული კოორდინატთა სისტემა	ნებადართული კოორდინატთა სისტემის დასახელება	(იხილე ველის შევსების წესები)
6	რეგიონი	რეგიონის შესაბამისი კოდი (ხელმისაწვდომია პლატფორმიდან)	სავალდებულო

7	მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის შესაბამისი კოდი (ხელმისაწვდომია პლატფორმიდან)	სავალდებულო
8	დასახლებული პუნქტი	დასახლებული პუნქტის შესაბამისი კოდი (ხელმისაწვდომია პლატფორმიდან)	სავალდებულო, იმ შემთხვევაში თუ ობიექტი დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზეა
9	უბნის დასახელება		არ არის სავალდებულო: ქალაქის უბანი
10	ქუჩის დასახელება		იმ შემთხვევაში თუ ცნობილია სამშენებლო სამუშაოების ქუჩის მისამართი
11	შენობის ნომერი		იმ შემთხვევაში თუ ცნობილია სამშენებლო სამუშაოების ქუჩის მისამართი
12	სამშენებლო სამუშაოს ტიპი	რა ძირითადი დანიშნულების ფიზიკური ინფრასტრუქტურას ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოები (ტელეკომუნიკაცია, ბუნებრივი გაზი, ა.შ) (ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელობა)	სავალდებულო
13	სამშენებლო სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღი	დღე, თვე, წელი	სავალდებულო
14	სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა	კალენდარულის დღეების რაოდენობა	სავალდებულო
15	საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი		იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება სისტემაში რეგისტრირებულისგან

16	საკონტაქტო ინფორმაცია: სახელი გვარი	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი	იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება მოცემული პირის სისტემაში რეგისტრირებული მისამართისგან
17	საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი (ები)	საკონტაქტო პირის ტელეფონი	იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება სისტემაში რეგისტრირებულისგან
18	საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტის მისამართი	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება სისტემაში რეგისტრირებული პირის ელექტრონული ფოსტის მისამართისგან
19	თანმხლები დოკუმენტის იდენტიფიკატორი	შესაბამისი დოკუმენტის იდენტიფიკატორი, რომელიც ატვირთული არის სისტემაში	არ არის სავალდებულო
20	უფლებამოსილი ორგანოსთვის პროექტის წარდგენის დაგეგმილი თარიღი	დღე, თვე, წელი	სავალდებულო
21	აღწერილობა	დამატებითი ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოზე	არ არის სავალდებულო

4.3.2 საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების აღწერის ველებში ინფორმაციის წარდგენის წესი და დასაშვები მნიშვნელობები

ველი N1 ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი

ინფრასტრუქტურის ოპერატორის იდენტიფიკატორი, რომელიც გეგმავს სამშენებლო სამუშაოებს.

მოცემული ველი ივსება ავტომატურად „რეგისტრირებული მომხმარებლის“ მიერ ინფორმაციის წარდგენის დროს.

ველი N2 გეომეტრიის ტიპი

მოცემული ველი ივსება ავტომატურად „რეგისტრირებული მომხმარებლის“ მიერ ინფორმაციის სამშენებლო სამუშაოს ფაილის ატვირთვის დროს.

ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა.

ველი N3 სამშენებლო სამუშაოს კოდი

კოდი, რომლითაც ინფრასტრუქტურის ოპერატორი თავის დოკუმენტაციაში აღრიცხავს მოცემულ სამშენებლო სამუშაოებს.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N4 სამშენებლოს სამუშაოს კოორდინატები

კოორდინატები მისათითებელია გამოყენებული კოორდინატთა სისტემის შესაბამისად

ა) EPSG WIK 4325 – WGS 1984 – ის შემთხვევაში გრძედი და განედი გრადუსი ათობითი სისტემით;

ბ) WGS 84 / UTM Zone 37N, WGS 84 / UTM Zone 38N და WGS 1984 Web Mercator შემთხვევაში - მეტრი.

კოორდინატები მისათითებელია იმ სიზუსტით, რომლითაც ინახება „ინფრასტრუქტურის ოპერატორის“ მონაცემთა ბაზაში, მაგრამ არაუმეტეს 10 მეტრის ცდომილებით. მონაცემების გეოგრაფიულ კოორდინატთა

სისტემის შევსებისას, სიზუსტე გრადუსებში უნდა იყოს არაუმეტეს 10 მეტრის ცდომილების სიზუსტის ექვივალენტი.

კოორდინატები უნდა განსაზღვრავდეს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების არეს (პოლიგონს), რომლებზედაც შესაძლებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განთავსების უზრუნველსაყოფად შესაფერისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა ან გაფართოება და რომელიც მოიცავს დაგეგმილ ან არსებულ ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებს.

მოცემული ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა.

SHP, GGPK, KML(KMZ) ფორმატის ფაილების ატვირთვისას არ არის საჭირო ცალკე გამოყოფილ ველებში მითითება.

ველი N5 გამოყენებული კოორდინატთა სისტემა

ასატვირთ ფაილში გამოყენებული უნდა იყოს დოკუმენტის 4.1 სექციის ცხრილ N2 ში მითითებული ერთ-ერთი კოორდინატთა სისტემა.

მოცემული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა.

SHP, GGPK, KML(KMZ) ფორმატის ფაილების ატვირთვისას არ არის საჭირო ცალკე გამოყოფილ ველებში მითითება.

ველები N 6, N7, N8

ტერიტორიული ერთეულის - რეგიონის, მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტის იდენტიფიკატორი.

პორტალზე წარმოდგენილი სიის (კლასიფიკატორის) მიხედვით.

თუ სამშენებლო სამუშაო დაგეგმილია ერთდროულად რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე, მისათითებელია ერთ-ერთი ტერიტორიული ერთეული.

N6 და N7 ველების შევსება სავალდებულოა.

ველი N8 არის შესავლებად სავალდებულო, იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია სამშენებლოს სამუშაოების ჩატარების შესაბამისი მონაცემი - დასახლებული პუნქტი.

ტერიტორიული ერთეულის საზღვრებად განისაზღვრება „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ maps.gov.ge ონლაინ რუკაზე განსაზღვრული საზღვრები.

ველი N9 უბანის დასახელება

იგულისხმება დასახლებული პუნქტის უბანი.

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N10 ქუჩის დასახელება

ველის შევსება სავალდებულოა, თუ ცნობილია სამშენებლოს სამუშაოს ჩატარების ქუჩა.

ველი N11 შენობის ნომერი

სავალდებულოა შესავსებად იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია სამშენებლო სამუშაოს ზუსტი მისამართი და მინიჭებული აქვს მისამართი „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ, მათ შორის თუ ხელმისაწვდომია maps.gov.ge ონლაინ რუკაზე.

ველი N12 სამშენებლო სამუშაოს ტიპი

მითითებული უნდა იყოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ძირითადი დანიშნულება 4.2.3 სექციაში მითითებული ცხრილი N4-ის შესაბამისად,

შესაძლებელია ველში რამდენიმე მნიშვნელობის შეყვანა, რომელიც გამოყოფილი უნდა იყოს „მძიმის“ ,, , “ სიმბოლოთი.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N13 სამშენებლო სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღი

სამშენებლოს სამუშაოების დაწყების სავარაუდო დღე, თვე, წელი.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N14 სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა

სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მოსალოდნელი ხანგრძლივობა დღეებში.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N15 საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი

ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ განსხვავდება მოცემული პირის სისტემაში რეგისტრირებული მისამართისგან.

ველი N16 საკონტაქტო ინფორმაცია: სახელი გვარი

ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ განსხვავდება მოცემული პირის სისტემაში რეგისტრირებული მისამართისგან.

ველი N17 საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონ(ებ)ი

ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ განსხვავდება მოცემული პირის სისტემაში რეგისტრირებული ინფორმაციისგან.

ველი N18 საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტის მისამართი

ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ განსხვავდება მოცემული პირის სისტემაში რეგისტრირებული მისამართისგან.

ველი N19 თანხმლები დოკუმენტის იდენტიფიკატორი

პლატფორმაზე ატვირთული დოკუმენტის იდენტიფიკატორი, დასახელება ან პლატფორმის მიერ მინიჭებული კოდი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოცემულ სამშენებლო სამუშაოებთან, მაგალითად წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას მის შესახებ.

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

ველი N20 უფლებამოსილი ორგანოსთვის პროექტის წარდგენის დაგეგმილი თარიღი

თარიღი, რომლისთვისაც არის დაგეგმილი უფლებამოსილი ორგანოსთვის პროექტის წარდგენა მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

ველის შევსება სავალდებულოა.

ველი N21 აღწერილობა

მოცემული ველში შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის მოკლე აღწერილობა ან მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები, რომლებზეც იგეგმება სამშენებლო სამუშაოები.

ველის შევსება არ არის სავალდებულო.

5. პლატფორმის ფუნქციონალური კომპონენტები და მათი გამოყენება

5.1 პლატფორმაზე რეგისტრაცია

პლატფორმით სარგებლობა შესაძლებელია როგორც რეგისტრირებულ რეჟიმში, ასევე რეგისტრაციის გარეშე.

პლატფორმაზე შესაძლებელია როგორც ინფრასტრუქტურის ოპერატორის, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში ავტორიზებული პირის, აგრეთვე მათი წარმომადგენლების რეგისტრაცია.

პლატფორმით სარგებლობისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორს ან/და ავტორიზებულ პირს უნდა ჰყავდეს წარმომადგენლი, რომელსაც აქვს მისგან მინიჭებული უფლებამოსილება ისარგებლოს პლატფორმით, აქვს გავლილი პლატფორმაზე რეგისტრაცია და ამგვარად არის პლატფორმის „რეგისტრირებული მომხმარებელი“.

პლატფორმაზე რეგისტრაციისთვის საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:

1. რეგისტრაციით დაინტერესებული პირის წარმომადგენლის მიერ სურათ N1-ზე მოცემულ პლატფორმის „შესვლა/რეგისტრაცია“ სახელის მქონე სექციაში შესვლით და შესაბამის ველებში მონაცემების შეყვანით რეგისტრაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა. რეგისტრაციისთვის საჭირო ინფორმაცია აღწერილია ფორმა N1-ში.

შესვლა / რეგისტრაცია ×

შესვლა რეგისტრაცია

მომხმარებელი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ოფიციალური დასახელება:

სახელი: გვარი:

საკონტაქტო ტელეფონი:

*პაროლი: *პაროლის დადასტურება:

რეგისტრაცია

სურათი 1

2. პლატფორმაზე მოცემული ინფორმაციის შევსების შემდეგ პლატფორმა მომხმარებლის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე აგზავნის შეტყობინებას თანმდევი ვებ ბმულით, რომელზე გადასვლით ხდება რეგისტრაციისთვის მიწოდებული ინფორმაციას სისწორის დადასტურება.
3. პლატფორმაზე სარეგისტრაციო ინფორმაციის შევსების და ელექტრონული ფოსტით მიღებული ბმულით მონაცემების დადასტურების შემდგომ, რეგისტრაციის პროცესის დასრულებისთვის რეგისტრაციით დაინტერესებული პირი მიმართავს კომისიას ოფიციალური წერილის საშუალებით, რომელიც მოიცავს პლატფორმაზე პირის შესახებ წარსადგენ ინფორმაციას და ასევე ინფორმაციას მისი წარმომადგენლის შესახებ - მომხმარებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის ნომერს), ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას და ფორმა N2 -ში მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას წარმომადგენლის თაობაზე. წარმომადგენლის ელექტრონული ფოსტის მისამართი უნდა ემთხვეოდეს სარეგისტრაციო ინფორმაციის შევსებისას მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართის.
4. მიღებული ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე კომისია ახდენს რეგისტრაციის პროცესის დასრულებას, რის შემდეგაც პირის წარმომადგენლს აძლევს პლატფორმაზე წვდომას.
5. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ პირის წარმომადგენელს აქვს „რეგისტრირებული მომხმარებლის“ სტატუსი და პირის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრული წვდომა პლატფორმაზე.

პირს შეუძლია შეცვალოს მისი წარმომადგენლის უფლებამოსილება განახლებული ფორმა N2 ის მოწოდებით.

ერთი ელექტრონული ფოსტის მისმართი შეიძლება იყოს გამოყენებული პლატფორმაზე მხოლოდ ერთი რეგისტრირებული პირის წარმომადგენლის რეგისტრაციისთვის.

რეგისტრირებულ პირს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი წარმომადგენელი.

ფორმა N1: პლატფორმაზე პირის რეგისტრაციისთვის წარსადგენი ინფორმაცია

ველი N1: მომხმარებელი

შესავსები ინფორმაცია: პირის ან მისი წარმომადგენლის ელექტრონული ფოსტის მისამართი

ველი N2: საიდენტიფიკაციო კოდი

შესავსები ინფორმაცია:

იურიდიული პირის შემთხვევაში: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდი

ფიზიკური პირის შემთხვევაში:

შესავსები ინფორმაცია: საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში - პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო კოდი), ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის ნომერი.

ველი N3: ოფიციალური დასახელება

შესავსები ინფორმაცია:

იურიდიული პირის შემთხვევაში:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში სარეგისტრაციო ამონაწერში მითითებული პირის ოფიციალური დასახელება

ფიზიკური პირის შემთხვევაში

შესავსები ინფორმაცია:

ფიზიკური პირის ოფიციალური სახელი და გვარი

ველები N4 – N5 : სახელი და გვარი

შესავსები ინფორმაცია: პირის წარმომადგენლის ოფიციალური სახელი და გვარი

(თუ ფიზიკური პირი საკუთარ თავს წარმოადგენს მისი სახელი და გვარი, სხვა შემთხვევაში - განსხვავებული პირის სახელი და გვარი)

ველი N6: საკონტაქტო ტელეფონი

შესავსები ინფორმაცია: პირის საკონტაქტო ტელეფონი (ფიქსირებული ტელეფონის შემთხვევაში მისი ადგილობრივი კოდი)

ველები N7 – N8 : პაროლი და პაროლის დადასტურება

შესავსები ინფორმაცია: პაროლი, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული პლატფორმაზე შესვლისთვის (აუთენტიკაციისთვის). პაროლი გამოიყენება ველში „მომხმარებელი“ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართთან ერთად. პაროლი უნდა შედგებოდეს ასოების და ციფრების მინიმუმ 6 სიმბოლოიანი კომბინაციისგან.

ფორმა N2: პირის და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციისთვის კომისიისთვის
წარსადგენი ოფიციალური ინფორმაცია

კომისიის სახელზე მოწერილ ოფიციალურ წერილში მოთხოვნილი უნდა იყოს :

- ა) პირის და მისი წარმომადგენლის პლატფორმაზე რეგისტრაცია და წარმომადგენლისთვის პლატფორმაზე წვდომის შესაბამისი უფლების მინიჭება, ან
- ბ) წარმომადგენლის წვდომის უფლების შეცვლა, ან
- გ) პირის ან მისის წარმომადგენლის რეგისტრაციის გაუქმება


წერილი უნდა ასევე მოიცავდეს შემდეგი ინფორმაციას:

1. ფორმა N1 ში მითითებული პირის დასახელებას
2. ფორმა N1 ში მითითებული საიდენტიფიკაციო კოდს;
3. ფორმა N1 ში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართს;
4. ფორმა N1 ში მითითებული პირის წარმომადგენლის სახელსა და გვარს;
5. წარმომადგენლის პირად ნომერს (საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში) ან პასპორტის ნომერს (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში)
6. პირის საკონტაქტო მისამართს: რეგიონი, დასახლებული პუნქტი, ქუჩა და სახლის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
7. საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (შესაძლებელია რამდენიმე ნომრის ერთდროულად მითითება)
8. წარმომადგენლის უფლებამოსილების დაწყების და დასრულების თარიღებს (ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში იგულისხმება 1 კალენდარული წელი კომისიაში დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღიდან)

5.2 რეგისტრაციის შემდგომ პლატფორმით სარგებლობის დაწყება.

პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებისთვის და აგრეთვე პლატფორმაზე განთავსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაციასთან წვდომისთვის საჭიროა მომხმარებელმა დაიწყოს პლატფორმით სარგებლობა „რეგისტრირებულ რეჟიმში“. მოცემული რეჟიმით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ პლატფორმაზე წინასწარ რეგისტრირებულ მომხმარებელს.

„რეგისტრირებული რეჟიმის“ გამოყენებისთვის მომხმარებელმა „შესვლა/რეგისტრაცია“ ღილაკზე დაჭერით გახსნილი ფანჯრის ველებში „მომხმარებელი“ და „პაროლი“ უნდა აკრიფოს რეგისტრაციის დროს მითითებული ელექტრონული ფოსტის მისმართი და პაროლი.



The screenshot shows a web interface for login and registration. At the top, there is a header with the text „შესვლა / რეგისტრაცია“ and a close button (X). Below the header, there are two buttons: „შესვლა“ (Login) and „რეგისტრაცია“ (Registration). Underneath, there are two input fields: „მომხმარებელი“ (Username) with the text „user1@xyz.ge“ and „პაროლი“ (Password) with a masked password „.....“. Below the password field, there is a link that says „დაგავიწყდათ პაროლი?“ (Forgot your password?). At the bottom, there is a blue button labeled „შესვლა“ (Login).

სურათი 2

ელექტრონული ფოსტის მისამართის და პაროლის სწორად მითითების შემდეგ „რეგისტრირებულ მომხმარებელს“ ექნება წვდომა იმ ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ პლატფორმაზე ატვირთულ ინფორმაციასთან, რომელსაც ეს მომხმარებელი წარმოადგენს, ხოლო პლატფორმაზე განთავსებულ სრულ ინფორმაციასთან, თუ „რეგისტრირებული მომხმარებელი“ არის ავტორიზებული პირის წარმომადგენელი.

მომხმარებელს აქვს საშუალება პლატფორმიდან შეცვალოს პლატფორმაში შესვლის პაროლი.


5.3 პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციასთან წვდომა

5.3.1 წვდომა ინფორმაციასთან ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებსა და საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

პლატფორმაზე რეგისტრირებული ინფრასტრუქტურის ოპერატორს და შესაბამისად მის წარმომადგენელს წვდომა აქვს მხოლოდ მოცემული ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ ატვირთულ ინფორმაციასთან, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ ოპერატორს და მის წარმომადგენელს პლატფორმაზე განთავსებული სრული ინფორმაციის ნახვის უფლება აქვს.


ინფორმაციასთან წვდომისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორის წარმომადგენელმა „რეგისტრირებულმა მომხმარებელმა“ უნდა დაიწყოს სარგებლობა პლატფორმის მოხმარების “რეგისტრირებული რეჟიმით“.

„რეგისტრირებულ რეჟიმში“ შესვლის შემდეგ ავტორიზებული პირის წარმომადგენელ „რეგისტრირებულ მომხმარებელს“ წვდომა აქვს პლატფორმაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის ოპერატორების მფლობელობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის და დაგეგმილი საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაციაზე, რომელიც განთავსებულია ონლაინ ციფრულ რუკაზე.




სურათი 3

ოპერატორების მფლობელობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის და დაგეგმილი საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის ნახვის რეჟიმებს შორის გადართვა ხდება ღილაკის საშუალებით



სურათი 4


სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის ელემენტები განთავსებულია ციფრული რუკის სხვადასხვა ფენაზე. შესაძლებელია ელემენტების ფენების მიხედვით ელემენტების გამოჩენა/დაფარვა რუკის მარცხენა მხარეს განლაგებული შემდეგი ღილაკების გამოყენებით



სურათი 5

5.3.2 წვდომა მშენებლობის ნებართვებს/თანხმობების მოპოვების წესებთან და პროცედურებთან, აგრეთვე შესაბამისი განაცხადის გაკეთების მექანიზმთან.

პლატფორმის მომხმარებელს წვდომა აქვს მშენებლობის ნებართვებს/თანხმობების მოპოვების წესებთან და პროცედურებთან, აგრეთვე შეუძლია ინფორმაციის მოძიება შესაბამისი განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებით. მოცემულ ინფორმაციასთან წვდომა ხდება სურათი 6-ზე გამოსახული პლატფორმის სექციიდან



სურათი 6

მოცემულ სექციასთან წვდომას არ სჭირდება “რეგისტრირებული რეჟიმში” შესვლა და ნებადართულია პლატფორმის ნებისმიერ მომხმარებლისთვის.

პლატფორმის ამავე სექციიდან ხელმისაწვდომია ფიზიკური ინფრასტრუქტურის წვდომასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია - კანონი ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ, პლატფორმის ადმინისტრირების წესი და მოცემული ინსტრუქცია, ინფრასტრუქტურის გაზიარებასთან დაკავშირებული კომისიის მიერ მიღებული სხვა დოკუმენტები.


5.4 პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდება

„პლატფორმის ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად პლატფორმას მიეწოდება და მასზე განთავსდება ინფორმაცია ინფრასტრუქტურის ოპერატორების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის და მის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების და საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

პლატფორმისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად პირს უნდა ჰყავდეს „რეგისტრირებული მომხმარებელი“ პლატფორმაზე ინფორმაციის მიწოდების უფლებამოსილებით (იხილეთ წინამდებარე ინფორმაცია პლატფორმაზე რეგისტრაციის შესახებ).

„რეგისტრირებული რეჟიმით“ სარგებლობის დროს მომხმარებელი პლატფორმისთვის ინფორმაციის მოწოდებას ახორციელებს ინფორმაციის შემცველი ფაილ(ებ)ის ატვირთვის საშუალებით.

ატვირთვა ხორციელდება პლატფორმის შესაბამისი სექციაში გადასვლის შემდეგ, ასატვირთი ფაილ(ებ)ის მონიშვნის გზით.



სურათი 7

ფაილში ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემულ „ინსტრუქციაში“ განსაზღვრული ველების შესაბამისად.

შეუსაბამო ფორმატის ფაილ(ებ)ის ან ატვირთულ ფაილში ინფორმაციის შეუსაბამო ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში პლატფორმას ინფორმაცია არ მიეწოდება და პლატფორმა იძლევა შეტყობინებას შეცდომის შესახებ.

ფაილში არსებული შეცდომების გარეშე ატვირთვის შემდეგ მოხდება პლატფორმაზე ინფრასტრუქტურის ობიექტების ელემენტების ან სამშენებლო სამუშაოს შეახებ ახალი ინფორმაციის განთავსება ან არსებული ინფორმაციის ცვლილება ან წაშლა.

იმ შემთხვევაში როცა პლატფორმას მიეწოდება ინფორმაცია იმ ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტის ან სამშენებლო სამუშაოს შესახებ, რომელიც არ არის პლატფორმაში, ხდება პლატფორმის მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ელემენტის ან სამშენებლო სამუშაოს შესახებ ჩანაწერის შექმნა.

მიწოდებული ინფორმაცია განთავსდება პლატფორმის „შუალედურ მონაცემთა ბაზაში“, რომელიც, არ არის გამოსახული რუკაზე და არ არის ხელმისაწვდომი სხვა მომხმარებლისთვის.


შუალედური მონაცემთა ბაზიდან ინფორმაცია მისი მფლობელისგან განსხვავებული „რეგისტრირებული მომხმარებლისთვის“ ხელმისაწვდომი ხდება კომისიის მიერ ინფორმაციის წარდგენის ფორმატის და წარდგენის სხვა წესების შესაბამისობის შემოწმების შემდეგ.

იმ შემთხვევაში როცა პლატფორმის მონაცემთა ბაზაში მოიპოვება ინფორმაცია ელემენტის ან სამშენებლო სამუშაოს შესახებ, მოცემული ელემენტის ან სამშენებლო სამუშაოს შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას ხდება პლატფორმის მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ჩანაწერის მნიშვნელობის განახლება.

ფაილის ატვირთვის საშუალებით, შესაძლებელია ელემენტის შესახებ პლატფორმაში ინფორმაციის წაშლა. ამისთვის ატვირთული ფაილის ველში „ელემენტის საოპერაციო სტატუსი“ უნდა იყოს მითითებული მნიშვნელობა „სისტემიდან წაშლილი“ (კოდი „05“).

პლატფორმაზე ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის ატვირთვა ინფრასტრუქტურის ელემენტების და სამშენებლო სამუშაოების შესახებ PDF-

ფაილების სახით. შესაძლებელია ატვირთული ფაილების მართვა: სახელის გადარქმევა, გადმოწერა, წაშლა.



სურათი 8


ატვირთული ფაილის დაკავშირება შეიძლება ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტთან ან სამშენებლო სამუშაოებთან, ფაილის სახელის მითითებით ველში „თანმხლები დოკუმენტის იდენტიფიკატორი“. ატვირთულ დოკუმენტებში შეიძლება მითითებული იყოს ინფორმაცია ფიზიკურ ინფრასტრუქტურის გაზიარების დამაბრკოლებელი გარემოებების (რომელიც ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის წინასწარ არის ცნობილი) და გამოყენების ტექნიკური ინსტრუქციების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ. ასევე შეიძლება განთავსებული იყოს დამატებითი ჩანაწერები, რომელიც ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის გაზიარებით ან სამშენებლო სამუშაოების კოორდინაციით დაინტერესებულ პირს მიიღოს სასარგებლო ინფორმაცია მოცემული ფიზიკური ელემენტის ან დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ.



სურათი 9

პლატფორმაზე ატვირთული ინფორმაციის ელემენტების ან სამშენებლო სამუშაოს შესახებ ინფორმაციის ცვლილება ან წაშლა შესაძლებელია ინტერაქტიულ რეჟიმშიც რუკის ქვედა ნაწილში მდებარე ცხრილში ცვლილებების შეტანის გზით .

ასატვირთი ინფორმაციის ველებისთვის წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობის მინიჭებისას(როგორცაა რეგიონი, მუნიციპალიტეტი, დასახლებული პუნქტის იდენტიფიკატორი, გამოყენების ტიპი და სხვა), გამოიყენება წინასწარ მომზადებული კლასიფიკატორები, რომელთა ნახვა და სხვადასხვა ფორმატში გადმოწერა შესაძლებელია პლატფორმის გვერდიდან.



სურათი 10

6. დანართები

დანართები N1 და N2 წარმოდგენილია Excel-ის ფაილში:

SIP_danarti _N1_N2.xlsx